1877—1897

№ 119

ოთხშაბათი, 18 ივნისი 1897 წ.

ხაზეთის ფასი:

| თვე | მან. | კ. | თვ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| [illegible] . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 1 . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 1 . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომ.—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

# ივერია

№ 119

ოთხშაბათი, 18 ივნისი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## მთავრობის განკარგულებანი

დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდგან; ბორჩალოს მაზრის უფროსი კოლლეჟსკი სოვეტნიკი თავადი სუმბათაშვილი და ბორჩალოს მაზრის ერობის დარაჯთა უფროსი მილიციის იუნკერი ჩოჩიაშვილი.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნატორს განკარგულება გაუცია, რომ განსაკუთრებული კომისია იქმნას დაარსებული და იმას მიენდოს გამორკვევა ახალციხის ქალაქის გამგეობის მოქმედებისა იმის შესახებ, მართლა არ დაუთმო ამ თვით-მართველობამ შესაფერი ადგილი ახალციხეში მართლმადიდებელ ეკკლესიის ასაგებად, თუ ახალციხის თვით-მართველობის მოქმედება კანონიერია. კომისიის წევრებად დანიშნულნი არიან: ახალციხის მაზრის უფროსი, ახალციხისავე მომრიგებელ-მოსამართლე და სხვა მოხელენი. თავმჯდომარედ ამ კომისიისა იქნება წევრი ტფილისის საგლეხო საკრებულოსი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი, თავადი ნ. ს. აბაშიძე. კომისია ახალციხეშივე გამოარკვევს ამ საქმეს.

*** არა ერთი საჩივარი ისმოდა აქამდის გორის სამხედრო საკრებულოს და აგრეთვე გორის სამაზრო პოლიციის უწესო და ურიგო მოქმედების შესახებ. ასეთი უწესოება უმთავრესად ახლად ჯარში გაწვეულთა საქმეში იჩენდა ხოლმე თავს. ეხლა, მიაქცია-რა ყურადღება ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა ამ საჩივრებს, თავადს ნ. ს. აბაშიძეს მიანდო გორში წასვლა და ადგილობრივ გამოძიება ამ საჩივრებისა.

*** სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათ სამინისტროს გარდაუწყვეტია ჩვენის ვენახების ობის ავადმყოფობანი გამოიკვლიოს და ამისათვის სპეციალისტის—მიკოლოგოსის ბ-ნის იაჩევსკისათვის მიუნდვია ეს საქმე. პეტერბურგის საიმპერატორო ბოტანიკურს ბაღს იგი უკვე გამოუგზავნია ჩვენს ქვეყანაში.

*** გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი ამ ზაფხულს ივლისის დამლევს, ან აგვისტოს პირველს რიცხვებში კავკასიაში ჩამოვა.

*** ამ ჟამად ბათუმიდგან ტფილისში ჩამოვიდა ბრიტანიის ქვეშევრდომი ქ-ნი მარიამ სმიტი, რომელსაც აზრადა აქვს ჩვენის ქალაქის სხვა-და-სხვა შესანიშნავი ადგილი დაათვალიეროს; სხვათა შორის, იგი ინახულებს ციხეს, ბოტანიკურს ბაღსა და სხ. აქედამ ქ-ნი მარიამ სმიტი დაღესტანში წავა.

*** ტფილისის საგუბერნიო ქალაქის საქმეთა საკრებულოს სხდომა 20 ივნისისათვის არის დანიშნული. სხდომაზედ ამ 1897—1901 წ. ქალაქის ხმოსანთა არჩევანებისა გამო წარდგენილი საჩივრები იქმნება განხილული. ამავე სხდომაზედ განიხილვენ მომავალ 1898 წლის ქალაქის ხარჯთაღრიცხვას.

*** სურას ცირკის შენობა უკვე დასრულებულია და ამ დღეებში კიდევაც გასინჯვენ ქალაქის ტეხნიკოსები. ბ-ნს პოლიცმეისტერს მიუწერია, ცირკის შენობაში წყალი უთუოდ გაიყვანეთ, თორემ წინააღმდეგს შემთხვევაში წარმოდგენების გამართვის ნებას არ მოგცემთო.

*** ამ დღეებში ქსნის ხეობაში საშინელი სეტყვა მოსულა და დაუსეტყვია: ახალგორისა, იკოთისა, ზემო ალევისა, ძეგლევისა, მონასტრისა და დაბაკნეთის სოფლის საზოგადოებათა მამულები. როგორც ადგილობრივი ადმინისტრაცია იუწყება, ხსენებულს ადგილებში ამ წელს მეტად მცირე მოსავალი იქმნება და შიმშილობა ჩამოვარდებაო. ზარალი ხსენებულს საზოგადოებათ ამ სეტყვის გამო 50,000 მან. მოჰსვლიათ.

*** ოზურგეთში ამ ჟამად მოსკოვის კონსერვატორიის პროფესსორი ბ-ნი კორეშჩენკო მისულა, რომ გურული სახალხო სიმღერები ნოტებზედ გადიღოს.

*** სამეურნეო სამინისტროსა და სახელმწიფო ქონებათა რწმუნებულის განკარგულებით კავკასიაში ამ ზაფხულს დაიწყება სატყეო მუშაობა. სიღნაღის მაზრაში მუშაობას შეუდგებიან გრაფის შერემეტევისა, თავადთა აფხაზებისა, ვაჩნაძეთა და ანდრონიკაშვილების სააგარაკო მამულებში, რომლებიც ტფილისის გუბერნიის ტყეთა დამცველმა კომიტეტმა დაცვის ღირსად სცნო. მუშაობა უფროსს ტაქსატორს ბ-ნს ბერგს, უმცროსს ტაქსატორს ბ-ნს ზედინსკის, ტოპოგრაფს ნიკიტინსა და სოსელისა აქვთ მინდობილი. ხსენებული სატყეო დასი გუშინ, 17 ივნისს, უკვე წავიდა სამუშაოდ.

*** ამ დღეებში კავკასიის რკინის გზის უფროსმა ბრძანება გასცა, რომ რკინის გზით მოგზაურთა და რკინის გზის მსახურთ სახალხო მატარებლების ვაგონებში ფრინველისა, ცოცხალის თევზისა და წვრილფეხის საკლავის საქონლის შეყვანა სრულიად აღეკრძალოთ, რადგანაც ამისაგან დიდი უსუფთაობა წარმოსდგება და მგზავრები სწუხდებიან. რკინის გზის აგენტებსა და რკინის გზის მსახურთ სასტიკად ევალებათ ხსენებულის განკარგულების შესრულებას ყურადღება მიაქციონ, ხოლო ვინც დაარღვევს, პასუხს აგებს და სასტიკად დაისჯება.

*** კავკასიის უმაღლესის მთავრობის წინაშე სტიპენდიის მისაღებად ამ წელს ტფილისის გიმნაზიაში სწავლა-დამთავრებულთა შორის ქართველი მხოლოდ ერთია წარდგენილი გვარად უთნელიშვილი დავით, რომელმაც ოქროს მედლით გაათავა სწავლა.

*** იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს ასულის უსინათლოთათვის სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1897 წლ. 1 მაისისათვის განყოფილების კასსაში იყო 38.714 მან. 29 კაპ., მაისის განმავლობაში მიემატა 3.045 მან. 45 კ., ამავე თვეს გაცემულ იქმნა 3.120 მან. 17 კაპ. 1897 წ. 1 ივნისს იყო 38.639 მან. 57 კაპ. ამ თანხიდგან 1) 5619 მან. 43 კ. სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში ინახება; 2) 1870 მან. 07 კ. იმავე განყოფილების შემნახველს კასსაში; 3) 31.129 მ. 72 კა. $^0/_0$ $^0/_0$-ანი ქაღალდები იქვე ინახება და 4) განყოფილების კასსაში ამ ჟამად 20 მ. 35 კაპეიკია.

სამზრუნველოს განყოფილების თვალის საავადმყოფოში 1897 წელს მაისის თვის განმავლობაში 515 კაცი ახალი ავადმყოფი იყო, ძველებთან ერთად სულ 2804 კაცი. ამავე ხნის განმავლობაში 78 კაცს გაუკეთეს ოპერაცია.

## ქალაქის საბჭო

16 ივნისი.

საბჭომ მოისმინა ქალაქის გამგეობის აზრი ქუჩების განათების შესახებ. ამ ჟამად ქალაქის ქუჩების განათების საქმე კერძო იჯარადარს აქვს აღებული, რომელსაც თითო ფარნის განათებაში ეძლევა 8 მანეთი და 50 კაპეიკი. რადგანაც ამ იჯარადარს ვადა გასდის, გამგეობა სთხოვს საბჭოს შემოდგომამდე იმასვე გადაეცეს ქუჩების განათების საქმე, ხოლო ამ ხნამდე გამგეობა შეიმუშავებს ახალს პროექტს ქუჩების საუკეთესოდ განათებისას, რადგანაც აწ არსებული წესი განათებისა მეტად უხეირო და გამოუსადეგარია, და წარუდგენს საბჭოს განსახილველად.

ამ მოხსენებამ დიდი კამათი გამოიწვია ხმოსანთა შორის.

ზოგმა ის აზრი წარმოსთქვა, რომ იჯარადარს სულაც არ უნდა გადაეცეს ქალაქის განათების საქმე, რადგანაც ისინი იმასა სცდილობენ მეტს გამორჩნენ და იმიტომ ქუჩები მუდამ წყვდიადითაა ხოლმე მოცულიო. უმჯობესი იქმნება, ქუჩების განათება იჯარადრის მაგიერ, თვით ქალაქის გამგეობამ იკისროსო. ამ უკანასკნელს შემთხვევაში თუ ვინიცობაა შემდეგში ნავთის ფასმა აიწია და თითო ფარნის განათებას 8 მანეთი 50 კაპ. არ ეყო, ქალაქის გამგეობას შეუძლიან მეტი მოსთხოვოს საბჭოსაო.

# ფელეტონი

### ნაწყვეტი

ბევრჯელ ვაქღერე ჩონგური,
მრავალჯერ ავატირეო,
სიმართლე ცამდე ავწიე,
სიმუხთლე დაბლა ვძირეო,
ჩემსა ერს, ჩემსა სამშობლოს
თავი მსხვერპლადა ვწირეო,
მაგრამ მადლობის მაგიერ,
მისგანვე გავიწირეო!

იო გარ—შვილი

### „არ მომკვდარვარ!..“ *)

ეტიუდი

I

დიდი ხანი იყო, რაც ჩემს სოფელს არ მივკარებოდი და მისი წმინდა ჰაერი არ შემესუნთქა. ქალაქის ატმოსფერისაგან დამტვრიანებული ჩემი გული სოფლის სიწრფოებისკენ ილტვოდა, რომ აქ ჩალეული ძალა, ხორციელი თუ სულიერი, იქ ბუნების სიმარტივეში ფენიქსებრ განმეახლებინა. დაღალულს სხეულს მოსვენება სჭირდებოდა, დამაშვრალს სულს, გალიაში მომწყვდეულს, ერთი განავარდება ამ უმანკო ცის სივრცეში, საცა მას ვერაფერი შემწიკვლავდა, ვერაფერი ვერ შეჰლახავდა. შეიძლება ამ „განსასვენებლად“ სოფლისაკენ გამგზავრებაში ცოტა ჩემისავ თავის სიყვარულიც ერია, მაგრამ, გამოვტეხილვარ, მეტად მოვტყდი, მეტად მოვეშვი ამ ქვეყნის წალმა-უკუღმა ტრიალში და ამისათვის სოფლისაკენ გამომაცოცხლებელ წყაროს, გადამხალისებელს მივეტრფოდი. ერთის სიტყვით, ,,იქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად‘‘. და ეგ ,,ნაცნობი‘‘ ვნახე კიდეც. ოჰ, რა ამითრთოლდა გული მის დანახვაზედ! მან ბევრი რამ გამახსენა ჩემი უმანკო, გულუბრყვილო ბავშობისა. იქამდე ავღელდი, რომ ცრემლებს ის ის იყო უნდოდათ ერთხელ კიდევ, უკვე გაკვალულ გზაზედ, შეიძლება მდინარედაც ქცეულიყვნენ, მაგრამ... სანახაობამ გამიტაცა და თვალზედ ცრემლების სარკე ადებულმა მას დავუწყე ცქერა. მშვენიერი რამ იყო ბუნება! მზე ის იყო მთის კალთებში თავს ჰყვინთავდა და თვის უკანასკნელს სხივებს, ისრე გამოდიოდა,—მე მესროდა, თითქოს ჰხარობდა ჩემს სახლში მოსულს, სადაც ჰეე, ვის ახსოვს, რამდენი ხანია არ ვყოფილვარ...

სურათი შეფუთნული ჩვენი ძველი სასახლე, მაღლა გორაკზე გადმომდგარი, მზის შუქზედ რაღაც ტკბილად გამომყურე, უკვე თითქოს ბაბუასავით მიღიმოდა, რომელიც შვილის-შვილს, შორი-ახლო მჯდარი, ყავარჯენ ხელმოკიდებული შეჰხარის და შეჰნატრის. თუმცა მისი დრო წასულია, გულიც თითქო გამოსციებია, რომ თავისიანებს ველარავის ჰხედავს და ეხლა მხოლოდ მოგონებით სტკბება, მაგრამ იქ, რაღაც გულის კუნჭულში, ჩარჩენილა ერთი ალაგი, სადაც მისი შვილის-შვილი, პაწია ბიჭიკელა მოთავსებულა და გარს სიყვარულის ქსოვილით არის შემოხვეული. ეს არის ერთად ერთი მისი ნუგეში, რომლისთვისაც იმას თბილი ბინა კიდევ მოეძებნება. სწორედ ასე იმოქმედა ჩემზედ ამ ძველებურმა, უკვე დახავსიანებულმა სახლმა. გამოლამებული მისი ოთახები, იქა-აქა ჩამომპალი სახურავი და აივნის რიკულები, ფანჯრებიც, მინის მაგივრად, ზოგან ფიცრებ-აჭედილი, ბაბუას გამოციებულს გულს მიაგავდა, მაგრამ ეს სხივი მზისა მაზედ მკრთოლარე, მოთამაშე, როგორც ბაბუის თეთრ დაბამბულ წვერს, ისე უბრწყინვალებდა და მის ბაგეს—ურთხელის (წითელის ხის) კარებს რაღაც სიტკბოებით პირს აღრეჭინებდა. ეზოში სახლის წინ უშველებელი ცაცხვის ხე უკვე ყვავილებ გაფურჩქვნილი საამურს სუნნელებას სძღვნიდა მთელს ჩვენს ვრცელს ეზოსა და მისი ფოთლები, რაღაც საღამოს ტკბილ საუბარში გართული, ნელა ჰშიშინებდნენ.

მართალია, ეზოს უპატრონობა ეტყობოდა, არსად დიდი ხანია კაცის ხელს ტყუილადაც არა შეენძრია-რა, მაგრამ მაინც ეს ცუდუბრალო შალტამიც ,,ტყედ-წამოსული‘‘, თავის ნებაზედ მიშვებული, ისე ლამაზად მოხატული იყო, ისე საამურად იყო ერთი მეორეში გადახლართული, რომ საუკეთესო მებაღესაც შეშურდებოდა ასეთი მოხდენილი სიმწყაზრე მცენარეებისა. ყველა კეკლუცად, მარჯვედ გამოიყურებოდა, თითქოს ამბობდნენ: „მართალია, ხელი ხელოვნებისა ჩვენ არ მოგვკარებია, მაგრამ აბა რითი ვართ ცუდი, თუ პირ-და-პირ ისე შლუთა ვართ გაზრდილნიო“! ყველგან სიმრთელეს, სიცოცხლესა ჰგრძნობდა კაცი. გორიდგან კიდევ უკეთესი სანახაობა იშლებოდა თვალწინ: ჩემი საყვარელი მდინარე, ეს ანკარა, მარჯვე ჩანჩქერივით წყალი კვლავ ძველებურად, ჭალის ბოლოს, გაღმა მთების ძირში, გველებრ მიკლაკნილი, მიექანებოდა დასავლეთისკენ და ზევით-კი ტყე და ნათესი მინდვრები, ერთმანერთში მოხდენილად არეული, ისევ ისე თვალს იტაცებდნენ. დავტკბი ბუნებით, დავტკბი მისის უბრალოებით, მისის სიდიადით და ნამგზავრი კაცი იქვე ცაცხვის ქვეშ მწვანე ბალახზედ მივეგდე. დიდხანს ვიყავ ასე, დიდხანს...

II

გავიდა ერთი თვე და ძლიერ შე-

*) ვტოვებთ ამ მოთხრობაში იმ კილოს, რა კილოთიც იგი ავტორსა აქვს დაწერილი. რედ.

ზოგი-კი იმ აზრისა იყო, რომ ქალაქის ქუჩების განათების საქმე, ვინც უნდა იკისროს, გამგეობა იქმნება იგი, თუ კერძო იჯარადარი, ვერ მოეწყობა კარგად, ვიდრე აწ არსებული წესი განათებისა სრულიად არ შეიცვლება. ფული ბევრი იხარჯება და ქუჩების განათებას-კი არავითარი წარმატება არ ეტყობაო. ამიტომ საჭიროა საბჭომ ეს საქმე აღარ გადასდოს შემდეგისათვის და ეხლავე შეიმუშავოს პროექტი ქუჩების საუკეთესოდ განათებისა. საჭიროა ტფილისში შემოღებულ იქმნას ელექტრონული, ანუ გაზით განათება, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოეწყოს ქუჩების განათების საქმეო.

ბოლოს საბჭომ ხმის უმეტესობით მიიღო გამგეობის წინადადება და გადასწყვიტა, გადაეცეს ქუჩების განათება შემოდგომამდე ისევე ძველ იჯარადარს, ხოლო გამგეობას დაავალა შეიმუშაოს ახალი პროექტი ამ საგნის შესახებ და შემოდგომაზედ წარუდგინოს საბჭოს განსახილველად.

საბჭომ დაამტკიცა გამგეობის მოხსენება სახელმწიფო გარდასახადის განაწილების შესახებ. შემდეგ საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება ქალაქის ლომბარდის სესხის გასაცემ თანხის გადიდების შესახებ. გამგეობა თხოულობს, ლომბარდ 200,000 მანეთი მიეცეს, რომ უფრო ადვილად შეიძლოს ამ უკანასკნელმა მეტოქეობა გაუწიოს ხალხის გამათახსირებელ ჩარჩებსა და გამსესხებელს კასსებს. ცოტა ოდენის კამათის შემდეგ ეს საგანი გადაიდო შემდეგის სხდომისათვის, რადგანაც 200,000 მანეთის სესხის ასაღებად საჭიროა თანხმობა არა ნაკლებ 45 ხმოსანისა.

საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება გადამდებ სენით ავადმყოფ ბავშვთა მეორე საავადმყოფოს დაარსების შესახებ.

ეს საგანიც გადაიდო შემდეგი სხდომისათვის, რადგანაც გამგეობის მოხსენება სწორედ არ იყო შედგენილი და ზოგიერთი ფორმალური მხარე არ იყო დაცული. გამგეობამ დაავალა ახალი მოხსენება წარუდგინოს ამ საგნის შესახებ საბჭოს.

კრება დამთავრდა საღამოს 11 საათზედ.

## კავკავის ქართველობის კრება

კვირას, 1 ივნისს, *) აქაური ქართულის სკოლის დარბაზში იყო წლიური კრება, რომელზედაც უნდა განეხილათ სკოლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშები, სკოლის სადგომის გაფართოებისა და ეკლესიის შესახები საქმეები. დანიშნულ დროს ხალხი ბლომად შეიკრიბა. კრების დაწყებისთანავე მდივანმა წაიკითხა 1895 წ. სკოლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში, სარევიზიო კომისსიის მიერ შემოწმებული. მდივანმა კრებას წინადადება მისცა, ანგარიშის შესახებ სათქმელი ხომ არა გაქვსთ რაო, მაგრამ არც ერთმა დამსწრეთაგანმა ხმა არ ამოიღო და ამ გვარად ანგარიში დამტკიცებულ იქმნა. და ან რა უნდა ეთქვათ? განა შესაძლებელია სხაპასხუპად წაკითხულ ანგარიშიდგან კაცმა რამე აზრი შეადგინოს? კარგს იზამენ გამგენი, რომ ანგარიშებს დაბეჭდავდნენ ხოლმე და საზოგადოებას წინადღითვე ურიგებდნენ, რომ კარგად გაცნობა შეეძლოთ. თუ სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო დაბეჭდვა მოუხერხებელია, მაშინ არ იქნება ურიგო, რომ ანგარიშებს სკოლაში გამოჰკიდებდნენ, რადა კრების დაწყებამდე მაინც ცოტათიც არის გაეცნონ. ამით იმის თქმა-კი არ გვინდა, ვითომ რამე ეჭვი გვქონდეს. სრულიადაც არა. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ ყველამ კარგად იცოდეს, რაში იხარჯება კაპეიკობით შეგროვილი ფული.

1895 წ. ანგარიშის წაკითხვის შემდეგ წაკითხულ იქმნა წარსულის 1896 წ. შემოსავალ-გასავლის ანგარიში, რომლიდგანაც სჩანს შემდეგი: 1896 წ. 1 იანვრისთვის სამზრუნველოს ჰქონია 804 მან. და 45 კაპ., საანგარიშო წელს შემოსულა 1,143 მან. და 29 კაპ., წლის განმავლობაში სკოლაზედ დახარჯულა 1,579 მან. 75 კაპ. და 1897 წ. 1 იანვრისთვის დარჩენილა 367 მან. და 99 კაპ. ანგარიშის წაკითხვის შემდეგ ბ-ნმა ალ. ბ. სარაჯიშვილმა შენიშნა, რომ სასურველია სხვა-და-სხვა სახმარებელი საგნები, სხვა-და-სხვათაგან შემოწირული, თავის ღირებულ ფასად აინიშნებოდეს, რომ ამ გვარად შეგვეძლოს გავიგოთ, თუ სკოლის შენახვა წელიწადში რამდენი გვიჯდება. ეს აზრი ყველამ მოიწონა და ამიტომ გამგეთ დავევალათ შემდეგში ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ. ამის შემდეგ არჩეულ იქმნენ სარევიზიო კომისსიის წევრები (ილ. ბაქრაძე, ნ. გუბნელოვი და ივ. ჩითაიშვილი), რომლებმაც წარსულის წლის ანგარიშები უნდა შეამოწმონ.

ანგარიშების წაკითხვის შემდეგ ბ-ნმა ტ. ზ. კასიძემ კრებას შემდეგი აუხსნა: სახალხო სკოლების დირექციამ გამოგვიცხადა, რომ ეხლანდელი სკოლის ბინა ასის ბავშვისათვის საკმაო არ არის და ამიტომ მოსწავლეთა რიცხვი უნდა შეამციროთო. მოსწავლეთა დათხოვნა ჩვენ უსარგებლოდ მივიჩნიეთ და ამიტომ ამ ასს (100) მოსწავლეს ოციოდე მოვაშორეთ, რომლებიც სადილის შემდეგ დაიარებოდნენ და ისე სწავლობდნენო. დიაღ, ამ წელს ასე მოვახერხეთ, მაგრამ შემდეგ წლებში ეს ვეღარ მოხერხდება და ამიტომ ან შენობა უნდა გავაფართოვოთ და, თუ ეს ვერ შევიძლით ან მოსწავლეთა რიცხვი 80 აღარ უნდა აღემატებოდეს, რადგანაც ამ რიცხვზედ მეტის მიღება ბავშვების ჯანმრთელობისთვის ძლიერ მავნებელიაო. ეხლა, ბატონებო, თქვენ როგორა გსურთ: მოსწავლეთა რიცხვი შევამციროთ თუ სადგომი გავაფართოვოთ? ამ უკანასკნელს სულ ცოტა 700 მანეთი მაინც დასჭირდება. გარდა ამისა, საჭიროა აგრეთვე მთელის შენობის სახურავის შეღებვა, „გალლერეიის“ გაკეთება (რომ ზამთრობით ბავშვებმა იქ ითამაშონ) და ფეცრულის ღობის შეკეთება; აგრეთვე უნდა შევიძინოთ ოცამდე სასხდომი სტოლი, თორემ ამ ჟამად სამ-ადგილიან სტოლზედ ხუთ-ხუთნი სხდებიან. ყველა ეს, შენობის გაფართოებასთან ერთად, დაგვიჯდება არა ნაკლებ 1000 მანეთისა და როგორ ჰფიქრობთ—შეიძლებთ ამ ფულის შეგროვებას თუ ვერა? ამას ისიც დაუმატა, რომ ამ წლის იანვრისთვის სკოლას ძლიერ ცოტა ფული დარჩა და საფიქრებელია, ვაი თუ სხვა-და სხვა ხარჯმა სკოლის არსებობა საშიშ მდგომარეობაში ჩააგდოსო.

ამ საგანმა დიდი ბაასი გამოიწვია. ზოგი იმ აზრისა იყო, რომ სადგომის გაფართოება არც ისე ძვირად დაჯდება, როგორც გამგეობა ჰფიქრობსო, და აივნისა თუ „გალლერეიის“ შეკეთებაც ჯერ ხნობით დარჩესო (სკოლას საკმაოდ დიდი აივანი აქვს, მაგრამ შუშაბანდი აკლია). ზოგმა რა სთქვა, ზოგმა რა და ბოლოს კრება იმ დასკვნამდე მივიდა, ანუ მიიღეს, რომ ამიერიდგან 80 ბავშვზე მეტს ნუღარ მივიღებთო. არ შეგვიძლიან გულის ტკივილით არ აღვნიშნოთ ეს გარდაწყვეტილება. დღეიდგან აქაურ ქართულ სკოლას ოცი მოსწავლე უნდა მოაკლდეს! ოცი მოსწავლე! სათქმელადაც-კი ადვილია, მაგრამ კარგად რომ ჩავუკვირდეთ, დიდი დასაკლისია. უეჭველია, ყველა ესენი ნივთიერად შევიწროვებულნი იქნებიან, და ქართულმა სკოლამ რომ კარები გამოუკეტოს, ვიღას უნდა მიჰმართონ?!. ჩვენ სრულიად არ ვეთანხმებით ამ გარდაწყვეტილებას და ვაცხადებთ, რომ ამისთანა მძიმე და დიდ მნიშვნელოვანი საქმე ასე ადვილად არ უნდა გარდაეწყვიტათ. პროგრესის, წინ სვლის ნაცვლად რეგრესი, უკან დაწევა ვერაფრად სასახელოა... ჯერ დღევანდლამდის, როდესაც 100 ბავშვს იღებდნენ, ყველა მთხოვნელთა სურვილს ვერ აკმაყოფილებდნენ და რაღა უნდა იყოს შემდეგში, როდესაც 80-ზედ მეტს აღარ მიიღებენ?!. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწავლის მსურველთა რიცხვი დღითი დღე ჰმატულობს. იქნება შეგვენიშნონ, რომ შემდეგში გავაფართოვებთო. ეს, რა თქმა უნდა, ასეც უნდა იყოს, მაგრამ რაც დღევანდლამდინ უთქვიათ, ეს მაინც არ უნდა შეგვესუსტებინა. ჩვენის აზრით, ადგილის გაფართოება არც ისე ძვირია, რომ მისს ხარჯის შიშს ასეთი მსხვერპლი შეეწიროს, როგორიც არის ოცის ბავშვის მოკლება. ეს „გაფართოება“, როგორც სჩანს, გამოიხატება მხოლოდ ერთი კედლის აშლაში ორი ოთახის შესაერთებლად. ამ ჟამად ერთი ოთახი საკუთრად წიგნთ-საცავისა აქვს დათმობილი; შეერთების შემდეგ-კი ბიბლიოთეკადაც იქნება, სასწავლო ოთახადაც გარდაიქცევა და, ამგვარად, ის ოცი სკოლის გარეთ დარჩენილი ბავშვიც შიგ მოთავსდება. ეს გაფართოება და, საზოგადოთ, ყველა სხვა ხარჯიც, როგორც მაგ. სახურავის შეღებვა, ღობის შეკეთება და სტოლების შეძენა, დაჯდება არა უმეტეს 400—500 მანეთისა. გაიძახიან, თუ სტოლები უსათუოდ ოცი გვინდაო! ეს რას ჰნიშნავს? თუ დღემდე, როგორც იყო, „იოლად“ მიდიოდნენ, განა დღეს რომ ათი სტოლი მიუმატოთ, უფრო მეტი ადგილი არ იქნება? გარდა ამისა, გამგეობამ განაცხადა, რომ თითო სტოლს ათ მანეთს ნაკლებ არ აკეთებენო და ამიტომ მარტო სტოლებს 200 მან. დასჭირდებაო. იქვე ერთმა ხელოსანმა-კი განაცხადა, რომ 16 ცალს 100 მანეთად გავაკეთებო. ვიმეორებ, ზემოხსენებულ საგნებისთვის საჭიროა მხოლოდ 400—500 მანეთი. საიდ ვიშოვნოთ ეს ფული?—იქვე ხელის მოწერით შეგროვდა 200 მანეთამდე (ზოგს არ მოუცია, მაგრამ ბ-ნ გ. ზურდულს დაავალეს, რომ შეაგროვოს). დანარჩენი ან ისევ ხელის მოწერით უნდა შეგროვდეს ან კიდევ სესხად აიღონ და ნაწილ-ნაწილ გადაიხადონ. გარდა ამისა, როგორც ვიცით, აქ ჭრა-კერვის სკოლა უნდა დაეარსებინათ; ამისთვის ფულიც შეგროვდა, მაგრამ რადგანაც ამ სკოლის დაარსება ვეღარ მოხერხდა, ეხლა ეს ფული უხმარად აბარია ბ-ნ იოსებ კ. მოზდოკელოვს. ჩვენის აზრით ამ ფულებს ამაზე უკეთესს ვერას მოახმარებენ, რომ სკოლას არ დააშორონ ოცი საბრალო ბავშვი. სასურველია, ამ საგანს „წერა-კითხვის საზოგადოებაც“ მიაქცევდეს ყურადღებას.—ისევ კრებას დაუბრუნდეთ.

შემდეგ ბ. ნ. ფხაკაძემ ილაპარაკა საყდრის აშენების შესახებ. ეს საქმე ამაში მდგომარეობს. კავკავის ქართველობა მოწადინებულია საკუთარი ქართველი მღვდელი იყოლიოს. ეს აზრი კარგა ხანია, რაც აღიძრა და ჯერ კიდევ გადაწყვეტით არა ითქმის-რა. ამ რამდენისამე წლის წინად აქაურმა ქართველობამ თხოვნა მიართვა ყოვლად სამღვდელოს, ეპისკოპოსს კავკასიისას და მოზდოკისას. თხოვნაში გაატარეს ის აზრი, რომ ერთს ქართველს მღვდელს საკუთრად ჩვენ შევინახავთ, ოღონდ ად-

*) ეს წერილი ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზისა გამო ძლიერ შეგვიგვიანდა.

ავტ.

---

ვეთვისე ამ ბუნებას, ძლიერ შევეჩვიე. უკვე ძალი მომეცა, მოვცოცხლდი კიდეც, მაგრამ, როგორც ზაფხულში მეტად დაწყურებული კაცი ბევრ ხანს ვერ იკლავს წყურვილს და კიდევ-და-კიდევ ხარბად ეწაფება წყაროს, ისე მეც ვერა ვძღებოდი ბუნებით, ვერა ვძღებოდი მისის მშვენიერებით... თითქმის სრულებით ბერსავით ვცხოვრობდი, საბედნიეროდ ჩემს სოფელში ისე ბევრი არავინ არ არის და ამისთვის მეც არავის მივკარებივარ; რა თქმა უნდა, აღარც ჩემთან მოვიდნენ; შეიძლება სხვა რამეც შემწამეს—ცოტა, ერთ საუკეთესო რასმესთან მწყრალად ბრძანება, მაგრამ მე ამას მაინც-და-მაინც არ დაგიდევდით. ვიყავი ჩემთვის, მარტოდ-მარტო, მხოლოდ ერთი ბიჭი კი მახლდა და თუ სადმე ან სასეირნოდ, ან სანადიროდ წავიდოდი, თორემ ისე არსად ფეხს არ ვაბიჯებდი...

ერთს მშვენიერს დღეს გავიხედე, ვიღაც ცხენოსანი მეწვია. არ მიამა-კი, რომ მარტოობა შემიშალეს, მაგრამ თან თითქო გულმა იგრძნო, მეტად დიდი ცნობის-მოყვარეობა ამეძრა და ამიტომაც მყისვე მივაღებინე მოგზაური.

ბიჭმა წერილი მომართვა, ამ კაცისაგან მოტანილი...

— ღმერთო ჩემო!.. ის არის ის!.. მაგრამ საიდგან? რა იცოდა, რომ აქა ვარ?!.

მწერდა ჩემი მარო, ჩემი, ერთ დროს ღვთაება. მწერდა, რომ დღეს ჩემი ნიშნობა არის, გავიგე, რომ შენ აქა ხარ და გთხოვ უთუოდ მოხვიდეო.

მოვიხმე გამოგზავნილი კაცი და ვუთხარი:

— დაიცადე, ეხლავე ცხენს შევაკაზმინებ და ერთად წავიდეთ-მეთქი.

მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ ორივენი გზას ვადექით. გზაზე ბევრი არაფერი გვისაუბრია მე და ჩემს თანამგზავრს, მხოლოდ ეს კი გავიგე, —სასიძო რა კაცი იყო; გავიგე, რომ იგი ერთი ჩვენებური თავადიშვილი, ახალგაზდა, ჩოხოსანი, ცოტა გარეგან განათლება მოცხებულიც ბრძანდებოდა და დავკმაყოფილდი. სხვა არაფერი გვილაპარაკნია. მე მეშურებოდა მაროს ნახვა და ცხენს ვერეკებოდი, მაგრამ...

ვინ, იყო მარო?

— ეს ერთი იმ ქმნილებათაგანი გახლდათ, რომლებიც გაგიტაცებენ და თითონაც იტაცებიან, რომლებიც თავის თავს ბევრში არ აძლევენ ანგარიშს და გულის სურვილისამებრ მიმოჰქრიან, რომელთაც სილამაზე-მოხდენილობასთან გულის-თქმა სხვა რამეებზედ უფრო გაჰბატონებიათ, მაგრამ... ცოტა კიდევ მოვითმინოთ და თვითონვე დავინახავთ, თუ ეს მარო რა გვარი შთამომავალიც გახლავთ ევას მოდგმისა. სხვა ფრივ, სამართლიანი უნდა ვიყო და მართალი ვთქვა, მისი სახე ეკუთვნოდა იმ ჯგუფს სახეებისას, რომლებიც მეტად ლამაზნი არ არიან, მაგრამ ერთობ მიმზიდველნი-კი. დიადური არაფერი არა აქვთ, მაგრამ თავიანთ სიპაწაწავეშიც ისეთი რამ მოხდენილობა ამშვენებთ, რომ მაინც გხიბლავთ და გიტაცებთ. მათში თითქო რაღაც ციურიც-კი ურევია, მაგრამ საზოგადოთ ქალებს ციურიცა და ჯოჯოხეთურიც ერთად რომ არა ჰქონდეთ შეზავებული, მაშინ ხომ არც ესე წარმტაცნი იქნებოდნენ!

მარო შვილი იყო, და ერთად-ერთი შვილიც, იმ გვარის დედ-მამის, როგორ დედ-მამასაც შეჰნატრიან ბევრი ჩვენში. კარგი შეძლებული თავადიშვილი, მშვენიერი მასახლე, ჩვენებური მეპურ მარილე, იგი განთქმული იყო მის ახლო-მახლო კი არა, უფრო მოშორებითაც და ამიტომ მაროს ქმრობა, რასაკვირველია, სანატრელი ამბავი გახლდათ.

მე კი მაროს ბავშობიდგან ვიცნობდი. მათ სოფელსა და ჩვენს შუა მხოლოდ ერთი სოფელი თუ იყო მდებარე, თორემ, ისე სულ ახლო მეზობლები ვიყავით. ძალიან, ძალიან, ათი ვერსი თუ იქმნებოდა ჩვენიდგან იმათ სახლამდის და, რა თქმა უნდა, ორს მებატონეს შუა, ე. ი. მამა ჩემს და მაროს მშობლებს შორის, მისვლა-მოსვლა ხშირი იყო. ჩვენც, ბავშვები, ერთმანერთის ძლიერ კარგი ამხანაგები გავხდით პირველსავე გაცნობაზედ. შემდეგ-და შემდეგაც, როდესაც ორივენი წამოვიჩიტეთ, ხომ უფრო გამტკიცდა და გამყარდა ჩვენი მეგობრობა, ასე რომ როდესაც ორივენი სასწავლებლად ერთსა და იმავე ქალაქში მოვხვდით, ზამთარშიაცა და ზაფხულშიაც ერთი მეორის გარდა არა გვახსოვდა რა. დიაღ, ჩვენ მხოლოდ ერთი მეორისათვის გვინდოდა თავი და, ამ აზრში ჩაგნებულებმა, ერთ მარჯვე დროს ერთმანეთს სიყვარულიც-კი გამოვუცხადეთ...

ქუჯი

(შემდეგი იქნება)

## ხმა ქიზიყიდგან

ყველასათვის ცხადია, რომ არა მარტო ალტრუისტული ანუ საზოგადოებრივი გრძნობანი, არამედ გრძნობა სამართლიანობისა, გრძნობა სინიდისისა უმაღლესს ხარისხს განვითარებისას ვერ მიაღწევს, თუ წინ შესაფერი და სათანადო უმაღლესი გონებრივი განვითარება არ მიუძღვის. ყველა ეს გრძნობა არ გაჩნდება და თავის-თავად არც შესაძლებელია, თუ კაცი სახელმძღვანელო იდეის მოკლებულია. მხოლოდ იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათ, იმ მოვლენათ და ფაქტთ შეუძლიანთ მოქმედება გრძნობაზედ, რომელიც ჩვენ შეგნებული გვაქვს და რამდენადაც ფართოა ეს შეგნება, რამდენადაც ჰმუშაობს იდეია, იმდენად გრძნობაც თავს იჩენს. კაცი, რომელსაც უვარ-

გილი მიეცათ რომელსამე ეკლესიაშიო. მამა-მთავარმა პასუხად შემოუთვალა, რომ ვიდრე საკუთარი ეკლესია არ გექნებათ, საკუთრად თქვენთვის მღვდლის დანიშვნა შეუძლებლად მიმაჩნიაო. მას შემდეგ რამდენჯერმე შეიკრიბნენ და ის აზრი გამოსთქვეს, რომ საკუთარი ეკლესია ავაგოთო. ამ აზრს, რა თქმა უნდა, ბევრი თანამგრძნობი აღმოუჩნდა, მაგრამ ზოგი-კი წინააღმდეგობდა და საბუთად ბევრი მართლაც რომ დამაბრკოლებელი მიზეზი მოჰყავდა. ეს საქმე დღევანდლამდის ასე იყო დარჩენილი. დღეს კი ბ. ნ. ფხაკაძის კითხვაზედ— „გსურთ თუ არა საკუთარი ეკლესიაო".—უმეტესობამ განაცხადა, რომ ძალიანაც გვსურსო.

იქვე გაიმართა ხელის მოწერა იმ აზრით, თუ ეკლესიას ასაგებად ვის რამდენის შეწირვა შეუძლიანო. მიუხედავად იმისა, რომ სიგვიანისა გამო ხალხი უკვე იშლებოდა, 2,000 მანეთამდე მოაწერეს.—წერილის სიდიდისა გამო ჯერჯერობით ამას ვიკმარებთ, შემდეგ-კი, თუ შემთხვევა მოგვეცა, ამ კრებას კვლავ დაუბრუნდებით.

ბ. კახელი

## ორიოდე სიტყვა ტფილისის სასულიერო სემინარიის აწინდელის მდგომარეობის შესახებ.

$189^{6}/_{7}$ სასწავლო წელს ტფილისის სასულიერო სემინარიაში სულ 278 მოსწავლე იყო; ამ რიცხვში—86 მოსწავლე სასულიერო წოდებას არ ეკუთვნოდა. 1894 წლიდგან სწავლა-აღზრდის მხრით კეთილ-წარმატების მისაღწევად სასულიერო სემინარიის მთავრობამ, უწმიდესის სინოდის ნება-რთვით, აუცილებელ საჭიროებად სცნო, რათა ყველა მოსწავლეს, ჯან-მრთელობით სუსტთა გარდა, საცხოვრებელი ბინა სემინარიის პანსიონშივე ჰქონოდათ. უწმიდესმა სინოდმა იმავე 1894 წელს ყურადღება მიაქცია საქართველოს სასულიერო წოდების უკიდურესს ნივთიერს შეუძლებლობას და თვისთა საშუალებათაგან ტფილისის სასულიერო სემინარიაში ორმოცი სტიპენდია დაარსა, თითო 125 მანეთიანი; არსად რუსეთის სხვა სემინარიებში სინოდის ამდენი სტიპენდია არ არსებობს, როგორც ნამდვილის წყაროებიდგან ვიცით.

წარსულის სასწავლო წლის განმავლობაში—278 მოსწავლეთა შორის ქართლ-კახეთის საეკკლესიო ხაზინის სრულს ხარჯზედ 44 მოსწავლე ინახებოდა; ამავე ხაზინის ნახევარს ხარჯზედ-კი—24 მოსწავლე; იმერეთის და გურია-სამეგრელოს საეკკლესიო ხაზინის ხარჯზედ—სულ 56 მოსწავლე ინახებოდა; 29 მოსწავლეს უწმიდესის სინოდის „სრული სტიპენდია" ეძლეოდა (40 სტიპენდიიდგან). უწმიდესის სინოდის დანარჩენის თერთმეტის სტიპენდიის ფულიდგან, რომელიც ყოველ წლობით 1375 მან. შეადგენს, სამს მოსწავლეს მიეცა 45 მან. თითოს და 31 მოსწავლეს-კი—ორმოც ორმოცი მან. თითოს; „კავკასიაში მართლ-მადიდებლობითის ქრისტიანობის აღმადგინებელის საზოგადოების" ხარჯზედ სულ 4 მოსწავლე ინახებოდა; „წმ. მოციქულის ანდრია პირველ-წოდებულის ძმობის" ხარჯზედ—2 მოსწავლე; კერძო კაცთაგან შემოწირულ თანხათა ხარჯზედ—5; ამ გვარად წარსულს სასწავლო წელს სასულიერო სემინარიაში სრულიად უზრუნველ-ყოფილნი იყვნენ 164 მოსწავლე; 35 მოსწავლე ნახევრად იყო უზრუნველ-ყოფილი; გარდა ამისა, „ძმობისგან" შემწეობა რამდენსამე მოსწავლეს მიეცა. სასულიერო სემინარიის მთავრობა შემწეობას არ აძლევდა მხოლოდ იმ მოსწავლეებს, რომელთაც შეძლებული მშობლები ჰყავთ და ან სწავლისა და ყოფაქცევის მხრით სემინარიის სამმართველოს მიერ ცნობილ არ იქმნენ ნივთიერის დახმარების ღირსად. $189^{5}/_{6}$ და $189^{6}/_{7}$ სასწავლო წლების განმავლობაში მოსწავლეებს არ შემოუტანიათ პანსიონში „შესანახი ფული"—5499 მან., ასე რომ ეს ფული სასულიერო სემინარიის სამმართველოს ვალად დაედო. ვინაიდგან ზოგიერთს მოსწავლეებს თავ-თავის დროზედ არ შემოჰქონდათ ფული, სასულიერო სემინარიის მთავრობა იძულებული გახდა წარსულის მაისის ეგზამენების გარდახდის ნება არ მიეცა ასეთის მოსწავლეებისათვის და, მართლაც, ბევრს მოსწავლეს უარი გამოეცხადა გზამენების გარდახდისა მათზედ დარჩენილის ფულის შემოტანამდის.

წარსულს სასწავლო წელში მამა რექტორი სემინარიისა არქიმანდრიტი სერაფიმი ავალებდა მეექვსე კლასის თითოეულს ქართველს მოსწავლეს, ორი თუ არა, ერთი ქართული ქადაგება მაინც აუცილებლად დაეწერა და ეკლესიაში კათედრიდგან წარმოეთქვა. წარსულს სასწავლო წელს დაწერილ იქმნა 35 ქართული ქადაგება, რომელთაგან 28 ცნობილ იქმნა ღირსად საეკკლესიო კათედრიდგან წარმოთქმისა. უმეტესი ნაწილი ქართულ ქადაგებათა წარმოთქმულ იქმნა ტფილისის კალოუბნის ეკკლესიაში; რამდენიმე ქადაგება-კი წარმოთქმულ იქმნა თვით სემინარიის ტაძარშივე და ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში. რომ სასულიერო სემინარიის ქართველ მოსწავლეებს შეეძლოთ წერა ქართულ ქადაგებათა, საღვთის მეტყველო აზრების ქართულად გამოთქმა, სემინარიის მთავრობა ყურადღებას აქცევს ქართულის ენის ცოდნას სასულიერო სასწავლებლიდგან ქართველის მოსწავლეების სემინარიაში მიღების დროს; ამ ცოდნის შესამოწმებლად არსებობს სხვა საგნების ეგზამენებთან ერთად განსაკუთრებული ეგზამენი. „საშუალო ნიშანს" („2"), ქართულის ენის ცოდნაში მიღებულს, ისეთივე არა სასურველი შედეგი მოსდევს მოსწავლისთვის, როგორიც მოსდევს ასეთსავე ნიშანს სხვა უმთავრესს საგნებში მიღებულს. წარსულის სასწავლო წლიდგან ქართული თხზულება სემინარიაში სრულიად განცალკევებულ იქმნა სამმართველოს მიერ რუსულს ენაზედ დაწერილთა თხზულებათაგან თანახმად სემინარიის სამმართველოს დადგენილებისა, რომელიც დამტკიცებულ იქმნა საქართველოს ექსარხოსის ვლადიმირის მიერ, უკეთუ ქართულს თხზულებაში მოსწავლეს წლის ნიშანი „2" ექნება, განმეორებითი ეგზამენი უნდა დაენიშნოს. წელს სემინარიის ექვსს მოსწავლეს დაენიშნა ქართულის თხზულების განმეორებითი ეგზამენი, რადგან წლის ნიშანი „2" ჰქონდათ.

მოსწავლეების სავარჯიშოდ ქართულს საეკკლესიო კითხვა-გალობაში ეს მეხუთე წელია, რაც სემინარიის ეკკლესიაში ენკენისთვიდგან დაწყებული მაისის თვემდის, საშობაო და სააღდგომო დღესასწაულთა გარდა, ოთხშაბათს საღამოს ცისკარი მწუხრითურთ და ხუთშაბათს დილით—წირვა სრულდება ქართულს ენაზედ. ქართულს წირვა-ლოცვას რიგ-რიგობით ესწრებიან მოსწავლეები, რომელნიც საეკკლესიო წიგნებს ჰკითხულობენ და კიდეც ჰგალობენ. სასულიერო სემინარიის მთავრობა დიდს ყურადღებას აქცევს მოსწავლეთაგან ქართულის საეკკლესიო კითხვა-გალობის ცოდნის სიავ-კარგეს.

ი. ფერაძე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთ „Мір. Отг."-ში დაბეჭდილია შემდეგი საყურადღებო წერილი:

ჩვენს დროშიო, ამბობს გაზეთი, ქალები მიისწრაფვიან სცენისაკენ, რადგანაც თეატრში თამაშობა ერთად ერთი ადგილია, სადაც ქალს შეუძლიან ადვილად გამოიჩინოს თავისი ნიჭი. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ სცენაზედ ბევრი ქალი ვერ მოიპოვებს დიდს სახელს. ზოგი ქალი ერთი ორჯელ-კი დაიმსახურებს ხალხის ყურადღებას და მერე ყველანი დაიკარგებიან. ეს ყველამ კარგად იცის, ყველას კარგადა აქვს შეგნებული. გაზეთი „ნოვ. ვრემ."-ს თანამშრომელი Old Gentleman—გაიძახის, რომ სცენა ერთად ერთი ასპარეზია, სადაც ქალს შეუძლიან სახელი და სიმდიდრე შეიძინოს.

ამაზედ პასუხად გაზეთი „С.-Пет. Вѣд." სწერს:

„არ ათხოვოთ, ქალებო, ყური იმას, ვინც გეუბნებათ, სცენაზედ მოიპოვებთ სახელსა და დამოუკიდებელ და თავისუფალ ცხოვრებასაო. ის კაცი შემცდარია და უფსკრულში გადაგჩეხამთ. ისეთი გამოჩენილი არტისტი ქალებიც-კი, როგორც მაგალითად, სარრა ბერნარი, მხოლოდ ყურმოჭრილნი ყმანი არიან ფულისა და ათას გვარ შემთხვევისა. მერე განა ბევრნი არიან ისეთი არტისტი ქალები, როგორც სარა ბერნარია? ბევრისათვის თეატრის სცენა შრომის ასპარეზი კი არ არის, არამედ მხოლოდ პირველს ნაბიჯს წარმოადგენს გარყვნილობის გზისაკენ".

ამ სიტყვებს გაზეთი „Мір. Отг."-ი დასძენს:

სცენაზედ უნდა წავიდეს მხოლოდ ისეთი ღარიბი ქალი (მდიდარი ყველგან გაიკვლევს გზას), რომელსაც გულში უღვივის სცენისა და თეატრის სიყვარული, რომელიც ვერ დასთმობს ამ სიყვარულს და მზად არის ყველაფერი შესწიროს სცენას. ვინც მზად არის წამება გამოიაროს, ვისაც არ ეშინიან სიცივისა და სიმშილისა, ვინც არ შეუშინდება დამცირებას, ვისაც შეუძლიან აიტანოს ყოველივე შეურაცხება სცენის სიყვარულისა და თეატრის გულისათვის,—მხოლოდ იმას შეუძლიან თვისი თავი შესწიროს სცენას. თუ ვინიცობაა ვერაფერს გახდა კიდეც სცენაზედ, მაინც ბედნიერი იქნება, რაკი თავისს საყვარელს საქმეს ემსახურება. ასეთი ადამიანებიც საკმარისად გამოჩნდება. თეატრს რაღაცა მიმზიდველი ძალა აქვს, რომლის წყალობით სცენა უარტისტოდ არ დარჩებაო.

## რუსეთი

—

როგორც ხმა ისმის, კლასიკურ გიმნაზიების მოწაფეთა ფორმის გამოცვლის შესახებ საგანი უკვე გარდასწყდება მომავალის სამოსწავლო წლის დამდეგს.

— სექტემბრის პირველ რიცხვებში სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის თავმჯდომარეობით კომისსია თურმე შესდგება, რომელმაც რუსეთში ქალთა სასოფლო სამეურნეო განათლების საქმე უნდა გამოიკვლიოსო.

— ვარშავის უნივერსიტეტმა სასულიერო სემინარიებში პირველის

---

გისადა აქვს შეგნებული რომელიმე საზოგადოებრივი ფაქტი ან დაწესებულება, გულ-გრილად გვერდს აუქცევს, გაუვლის რა წინ, და გულგონებაში არა აუტოკდება-რა; მაგრამ იმავე ფაქტს ანუ დაწესებულებას, ყოველ მხრივ აწონ-დაწონილს და დაფასებულს, მეორე კაცის გონებით, შეუძლიანთ მღელვარებაში მოიყვანონ ყველა მისი საზოგადოებრივი გრძნობანი. ნაკლებ საზრდოს აძლევს ალტრუიზმს ის გონება, რომელიც უბრალო საზოგადოებრივ პირობაში აღზრდილა და შეჩვეულია მხოლოდ ის მოვლენანი ასწონ-დასწონოს, რომელნიც სოფლის ვიწრო ფარგალს არ განშორებიან. დიდი ზღვარია სოფლის ალტრუიზმსა და საკაცობრიო ალტრუიზმს შორის, იმ ალტრუიზმისა, რომელიც ინტელიგენტთ ასულდგმულებს. თანასწორ გონებრივის თვალთა ხედვის ისრის შევიწროებისა და აზროვნების სიღარიბისა, გლეხ-კაცობის გრძნობაც დუნედ ჰმუშაობს, იშვიათად მღელვარებს და ხშირად სთვლემს. მაშასადამე, უმთავრესი უბედურება ხალხის გაუნათლებლობა-უმეცრებაში მდგომარეობს.

ყველას შეუძლიან იკითხოს: ნუ თუ ყველა გონიერი და განათლებული ადამიანი უსათუოდ მხურვალე ალტრუისტნი და უმაღლესის ზნეობის ნიმუშ-მაგალითნი არიანო? თუმცა, მართალია, განათლებულთა შორისაც შეხვდებით უკეთურთ, მაინც საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ თუ ეს უკეთურნი როგორმე საზოგადოებაში მოსათმენნი არიან, სახელდობრ, იმათის გონებრივის კულტურის წყალობით და ეს განათლება რომ არ მიეღოთ, ზნეობრივად უფრო დაბლა იდგებოდნენ. ესევე სამართლიანად ითქმის იმ ადამიანთა შესახებ, რომელნიც გამოჩენილის გონებრივის განვითარებით აღჭურვილნი არიან და თან საეჭვო და დაბალის ზნეობისანი. იმათ რომ გონებრივი კულტურა არა ჰქონოდათ, შეუდარებლად უზნეონი იქნებოდნენ. ამასთანავე უნდა ვსთქვათ, რომ გრძნობაზედ, გონებას გარდა, სხვა პირობანიც ჰმოქმედებენ, რომელნიც კაცის ბუნებასა და სულის ვითარება-მოწყობილებაში მდებარეობენ; ამისათვის შესაძლებელია კარგს გონებრივს განვითარებას შესაფერი ზნეობრივი განვითარება არ არ მოსდევდე. სოციალურის გრძნობებით აღჭურვილს კაცის ბუნებაშიაც-კი მოიპოვება სხვა-და-სხვა გვარი ვნებათა ღელვანი, მაგრამ ესრედ წოდებული გაკეთილშობილება ვნებათა, გონებრივ განვითარების ზეგავლენით, ფსიხოლოგიური ფაქტია. ეტიკის ევოლიუციონურ თეორიაში სპენსერმა გამოარკვია, რომ ეგოისტური ქვენა გრძნობანი უმოძრაონი და წინსვლას მოკლებულნი არიან, მაშინ როდესაც სოციალური და ალტრუისტური გრძნობანი თანდათან წინ მიდიან, წარმატება ეტყობათ. ეს, ე. ი. ალტრუიზმის გაძლიერება, ინტელიგენტთა და არა უმრავლესობის შორის ხდება და ამ ფაქტით, ვიმეორებთ, მტკიცდება, რა მჭიდრო კავშირი არსებობს გონებრივ განვითარებასა და სოციალურ ზნეობას შორის.

ეს მოკლე საზოგადო მოსაზრება იმისათვის მოვიყვანე, რათა ნათლად დამენახვებინა, რა დიდი გავლენამნიშვნელობა აქვს ხალხის გონებრივად განვითარებას მათს ზნეობრივად ამაღლებისათვის. ჩვენს ქიზიყის ხალხს ფრიად ესაჭიროება ამისთანა გონებრივი განვითარება, ვინაიდგან აქ თქვენ შეხვდებით ყოველგვარ უკუღმართს შეხედულებას ირგვლივ მდებარე ბუნებასა და ადამიანთა ურთიერთობის შესახებ. ათას გვარ ცრუმორწმუნეობას ჯერაც ისევ მაგრადა ჰყავს ჩაბოჭილი ჩვენებურ საზოგადოების გონება. საზიზღარ შენ-ჩემობას ისე მკვიდრად აქვს გადგმული ფესვები ჩვენებურების სულის თვისებებში, რომ აურაცხელი ბოროტ-მოქმედების მოწამე ხდებით ყოველ დღე. მეზობელი მეზობელს არ ინდობს, თვისი და ტომი აღარავის მიაჩნია. არავითარი ადამიანურის ღირსების შეგნება, არავითარი სინათლის ნაპერწკალი თვისის ისტორიულ-ეროვნულის თვითცნობიერებისა და ჩვენის ერის ეხლანდელ სავალალო მდგომარეობის შესახებ არ მოეპოვებათ. სევდით გული გევსებათ, როდესაც ჰხედავთ ასეთს სიბნელეს ჩვენებურის საზოგადოებისას. ასეთის სიბნელის ბრალია, რომ ჩვენი გლეხ-კაცობა ხშირად სათლელ დუმად ხდება ყოველგვარ გაიძვერა პოია-მიკირტუმებისა. სამწუხაროც ის არის, რომ ეს პოია-მიკირტუმები ჩვენებურებს მოკეთებად მიაჩნიათ და თავიანთ თავს ბედნიერად ჩასთვლიან ხოლმე, თუ მათგან ყურადღებას ეღირსებიან. ეს ცხვრის ტყავში გახვეული მგლებიც სარგებლობენ ხალხის უვიცობა-გაუნათლებლობით.

სამრევლო სკოლებს, რომელთაც ამ ცოტა ხანში დაიწყეს ქიზიყში თავიანთი განმანათლებელი მოქმედება, ცოტად თუ ბევრად სიცოცხლის ნიშან-წყალი ეტყობა და ჩვენებურების ცხოვრების ვითარებასთან შეხამებულია. ამ გვარ სასწავლებელში დედა-ენას ფართო ადგილი აქვს დათმობილი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყმაწვილების გონება ზნეობრივათ განვითარებაზედ. სასიამოვნოა, როდესაც ყოველ კვირა-უქმე დღეს სამრევლო სკოლის მოსწავლეებს ეკკლესიაში შეკრებილთა ჰხედავთ და ზშვენივრად და მწყობრად ჰგალობენ. ჩვენებურ გლეხ-კაცს ძლიერ მოსწონს ეს გარემოება, აფასებს და გულითაც მოწადინებულია ამ ჯურის სკოლა ჰქონდეს.

ე. მ—შვილი

ხარისხით სწავლა-დამთავრებულთ მიჰმართა, რომ ისტორიკო-ფილოლოგიურსა და სამეთემატიკო ფაკულტეტებზედ შევიდნენ ხსენებულს უნივერსიტეტში.

— იმ წამლების ფასი, რომელსაც ოფიცრები, სამხედრო აფთიაქის უქონლობისა გამო, კერძო აფთიაქებში იხდიან და წამალი-კი სამხედრო ექიმის რეცეპტით არის გამოწერილი და სამხედრო კატალოგშიაც მოხსენებულიაო, უკანვე დაუბრუნდებათო.

— ახალის განკარგულებით ყველა ქარხნებისა და ფაბრიკების პატრონები მოვალენი არიან თვისის მუშებისთვის სამკურნალო თავშესაფარი გამართონ, თუ მათს ქარხანასა ან ფაბრიკაში 50 კაცზედ ნაკლები არა ჰმუშაობს. ამისათვის თავსაფარში ავადმყოფს უნდა აძლევდნენ პირველად აუცილებელსა და საჭირო წამლებს, იყოლიონ თვისი საკუთარი ფელდშერი და მკურნალი, რომელმაც სახლშიაც უნდა მიიღოს ხოლმე ავადმყოფი მუშები, ან, თუ მძიმე ავადმყოფი იქმნება, თითონ ინახულოს სახლში ან ქარხნის სამკურნალოში. გარდა ამისა, მკურნალი მოვალე იქნება ფაბრიკისა და ქარხნის სანიტარულს მდგომარეობას დიდი ყურადღება მიაქციოს. ამასთან რამდენსამე მეფაბრიკეს უფლება ექნება საერთო სამკურნალოც იქონიონ.

— ფინანსთა სამინისტრომ საგუბერნიო და საოლქო სახაზინო პალატებს ქაღალდები გაუგზავნა, გვაცნობეთ რამდენად დიდია წარსულის წლების მოსავლის ნარჩენი, ან ეყოფათ თუ არა, ვიდრე ახალს მოსავალს მომკიდნენო.

— რკინის გზათა დეპარტამენტში ამ ჟამად გაცხარებული მუშაობაა იმის შესახებ, თუ რკინის გზის სადგურებზედ ხორბლეულობას როგორ უნდა ინახავდნენ; შემდეგ ამ საგანს საგანგებო საბჭო განიხილავს დაწვრილებით, რომელიც ივლისის პირველ რიცხვებისათვის იქნება მოწვეული.

— საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკი აღუძრავთ იმის შესახებ, რომ ვარშავაში ხაზინის ხარჯით სავაჭრო სასწავლებელი და სკოლა დააარსონ. სასწავლებელი შვიდკლასიანი იქნება, ხოლო სკოლა—სამკლასიანი.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტი საურთიერთო დამხმარებელ და საქველ-მოქმედო საზოგადოებათა ნორმალურ წესდების შემუშავებას შესდგომია.

## უცხოეთი

**ოსმალეთი.** გაზ. „Pester Lloyd."-ის სიტყვით, აი სხვათა შორის რა უთქვამს ოსმალეთის დიდ ვეზირს ხალილ-რიფატ-ფაშას საფრანგეთის ჟურნალისტის ფრანკლინ ბულლიონისთვის, რომელთანაც ლაპარაკი ჰქონია.

„ევროპამ უკვე იცის, რომ ჩვენ გულითა და სულით გვინდა ზავისა და მშვიდობიანობის დამყარება. როგორც სულთანი, აგრეთვე ჩვენ იმასა ვცდილობთ, რომ ხელი მოუმართოთ ევროპის წარმომადგენელთ მოლაპარაკების საქმეში. შესაძლებელი რომ იყოს, ჩვენ დიდის სიამოვნებით დღესვე დავიბარებდით საბერძნეთიდგან ჯარს, რადგანაც მოსავალს მოვლა უნდა და მუშა ხალხიკი ჯარშია გაწვეული. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენელნი სამართლიანად გადასწყვეტავენ საქმეს და ამიტომ აჩქარება საჭირო არ არის. მართალია, ჯარს ახლაცა ვგზავნით საზღვრებზედ, მაგრამ ამას ყურადღება არავინ არ უნდა მიაქციოს. ჩვენი საზღვრები კარგად არ ინახებოდა და ახლა მოვიწადინეთ ამ შეცდომის გასწორება. ის გარემოება, რომ მოლაპარაკება მეტად მშვიდობიანად და წყნარად მიდის, თავმდებია, რომ საქმე საუკეთესოდ დასრულდება. ცოტაოდენი უთანხმოება შეიძლება თესალიის შესახებ მოლაპარაკებამ გამოიწვიოს. ჩვენ, მართალია, ვალდებულნი ვართ ევროპის რჩევას არ გადაუხვიოთ, მაგრამ მეორეს მხრით, ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებიც არ უნდა დავივიწყოთ. თესალიის მცხოვრებნი მოწადინებულნი არიან ჩვენთან შემოერთებას და დარწმუნებული ვარ, ევროპის სახელმწიფონი შეიწყნარებენ ამ სამართლიანს თხოვნას. ყველა ამ საქმის გარჩევა აშკარაა ბევრს დროს მოითხოვს, მაგრამ, სამაგიეროთ ჩვენსა და საბერძნეთ შორის ზავის ჩამოგდების შემდეგ ბალკანეთი სრულიად დაწყნარდება და მშვიდს, მყუდრო ცხოვრებას მიეცემა.

„ჩემის აზრით, შემცდარნი არიან ისინი, ვინც ბოლგარიას ჩვენს წინააღმდეგ მტრობას აბრალებს. თუ რომ უთანხმოებაა ოსმალეთსა და ბოლგარიას შორის, ეს მხოლოდ მაკედონიის გამო. სულთანი მოწადინებულია ამ მხრივ ასეა თუ ისე დააკმაყოფილოს ბოლგარელთა სურვილი და, ვგონებ, მაშინ ყოველგვარი უთანხმოება თავის და თავად მოისპობაო".

**საბერძნეთი.** საბერძნეთის მთავრობას შემდეგი დეპეშა გაუგზავნია ევროპის გაზეთებისთვის:

„თესალია ყოველ წელიწადს 10 მილიონ გირ. სტერლინგს შემოსავალს იძლევა, ამაში 4 მილიონი ამ პროვინციის მართვა გამგეობას უნდება. ამ ხარჯს საბერძნეთი ეხლაც ეწევა, რადგან არც ერთი მოხელე არ იქმნა გაწვეული თესალიიდგან. წრევანდელი მოსავალი საბერძნეთისთვის დაკარგულია. ჩვეულებრივ თესალიის მოსავალი 65 მილიონი ჰღირს, წელს-კი, რადგან კარგი მოსავალი იყო, 73 მილიონს აღემატება. სამხედრო ხარჯი 36 მილიონი იქნება. გარდა ამისა, სახელმწიფოს თესალიასა, კრიტსა და ეპირიდგან გადასახლებულთა შენახვა 3 მილიონი უჯდება. სახელმწიფო შემოსავალი წელს 40% ნაკლები იყო, ვიდრე წინა წლებში, და საერთოდ 65 მილიონს არ აღემატება, ზემოდ აღნიშნული ხარჯი-კი 135 მილიონზე მეტს შეადგენს. ყველა ამის გამო საბერძნეთის მთავრობამ სთხოვა ევროპის სახელმწიფოთ, ურჩიონ ან აიძულონ, რომ ოსმალეთმა სამხედრო ჯილდოზე უარი განაცხადოს, რადგანაც ომი იმან გამოიწვია და საბერძნეთს არავითარი დანაშაული არ მიუძღვისო".

—

**ავსტრო-უნგრეთი** პალატის პრეზიდენტად ნამყოფს, ბარონ ხლუმეცკის ერთის გაზეთის თანამშრომლისთვის უთქვამს ავსტრო-უნგრეთის საქმეების შესახებ: „ჩემის აზრით, ავსტრო-უნგრეთის შინაური საქმეები მეტად აწეწილ-დაწეწილია და მათი მოგვარება ამ ჟამად ძნელი და მოუხერხებელია. თუ ამ ახლო მომავალში ავსტრიელებისა და ჩეხების შერიგება არ მოხდა, ჩვენის სახელმწიფოს კეთილ-დღეობას განსაცდელი მოელის. ავსტრიელები და ჩეხები უმთავრესი ხალხია ავსტრიაში და უიმათოდ არც ერთი საქმე არ გადაწყდება. კერძოდ მე გაკვირვებული ვარ, რამ გამოიწვია ენის შესახებ განკარგულება. ვიმეორებ, თუ ეს ორი ხალხი არ მორიგდა, ჩვენი საქმე მეტად ცუდად წავაო."

## დამაკვირდი

ხელოსანი ის არის, ვინც ჰქმნის, ქარგალი—ვინც საქმე იცის, ხოლო შეგირდად კი ყველას შეუძლიან ყოფნა.

***

კრინტ-დაუძვრელი მორჩილება მხოლოდ კანონის წინაშე შეიძლება.

ბომარშე

***

საარჩევანო კენჭი უნდა აიწონოს და არა დაითვალოს.

შილლერი

## ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

შუაგულ აფრიკაში, ზემო კონგოში სცხოვრობს ერთი ტომი, სახელად ცადმეხები. ამ ხალხის წეს-წყობილება სრულიად განსხვავდება სხვა ხალხის წეს-წყობილებისაგან. ოჯახის ბატონი და პატრონი სახლში ქალია. მთელს სახელმწიფოს ქალი განაგებს. ეს ხალხი საზოგადოდ ძლიერ გულ-კეთილია. ქვეყანა მდიდარია და საკმაოდ ბედნიერადა სცხოვრობენ.

ეხლანდელი დედოფალი ცადმეხებისა ახალგაზდა ქალია, მეტად მტკიცე ხასიათისა და მხნე. დედოფალს სახელად ეწოდება რანგუმალა. ეს დედოფალი დიდის გონებითა და ნიჭით-კი ვერ დაიკვეხებს, მაგრამ, სამაგიეროდ, ძლიერ ღონიერია თურმე, მარდი და ამასთან მამაცი.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ცადმეხების ტომის მამაკაცნი მეტად ზარმაცნი არიან. ყოველგვარი საქმე და ზრუნვა ოჯახზედ გადასცეს ქალებს და თითონ სულ არაფერს აკეთებენ. ყველა საქმეს აქ ქალი განაგებს. ქალი ირჩევს ქმარს, თუ შეძლება აქვს, სამსა და ოთხს ქმარს ირთავს და აცხოვრებს. ქმარი მოვალეა ცოლს დაემორჩილოს ყველაფერში.

დედოფალი რანგუმალა ახირებული ქალი გამოდგა. ასე გამოაცხადა, ვინც ჩემზედ ღონიერი კაცი აღმოჩნდება ჩემს სამეფოში, იმას მივთხოვდებიო. დრო-გამოშვებით გამოჩნდებოდა ხოლმე თითო-ოროლა ჭაბუკი, რომლებიც მოდიოდნენ ღონის საცდელად, მაგრამ დედოფალი რანგულამა ყველას ერეოდა ჭიდაობაში და ერთს წამს დასცემდა დედამიწაზედ.

ერთხელ ცადმეხების ქვეყანაში მოვიდა ინგლისელი ნავოსანი ბენ პატსონი. დაბალის ტანისა გახლდათ და ძლიერ ღონიერი. სწორედ ამ ღონემ ერთი უბედურება შეამთხვია პატსონს. ერთხელ თავის ამხანაგს წაეჩხუბა და მუშტი შემოჰკრა. ამხანაგი შემოაკვდა. პატსონი ინგლისში აღარ დაბრუნდა და აფრიკაში დარჩა მალე შეიტყო დედოფალ რანგულამას ამბავი და მოვიდა ცადმეხების ქვეყანაში. უნდა მოგახსენოთ, რომ პატსონმა მალე შეისწავლა ცადმეხების ენა. დედოფალმა რანგულამ რომ ჰნახა ეს დაბალის ტანის კაცი, დაცინვით უთხრა, შენც ხომ არ გინდა ჭიდილში გამეჯიბროო. თუმცა ვერაფრად მოსაწონი კაცი ხარ, მაგრამ ჩემს სიტყვას არ გავტეხამ და თუ მომერიე, ქმრად შეგირთავო. ამაზედ პატსონმა უპასუხა, ცოლის შერთვის სურვილი სრულებით არა მაქვს, რადგანაც თავისუფლება ძლიერ მიყვარს, მაგრამ ჭიდაობაზედ კი უარს არ ვიტყვიო. სთქვა ესა, დაიმკლავა და რამდენჯერმე მაღაყზედ გადავიდა. დედოფალსა და ამალას გაეცინათ. დედოფალი დასთანხმდა და დაიწყეს ჭიდაობა. დედოფალი მართლა ღონიერი აღმოჩნდა, მაგრამ ბენ პატსონს მაინც ვერაფერი მოუხერხა, ადგილიდგანაც ვერ დასძრა. მაშინ დედოფალმა სხვა ხრიკებს მიჰმართა, ხან ფეხი გადაუდო, ხან სარმა წამოჰკრა, მაგრამ ბენ პატსონს წარბიც არ შეუხრია. დედოფალი განრისხდა და ჩქმეტა დაუწყო. ეს-კი ვერ მოითმინა პატსონმა, მოჰკიდა ღონივრად ხელი რანგულამას და მისი უმაღლესობა ზანგთა დედოფალი დედამიწაზედ გაიშხლართა.

ხალხი აღელდა. გაისმა მუქარის ხმა და ქალებმა იარაღზედ იკრეს ხელი. დედოფალი წამოდგა, მივიდა პატსონთან და ნაზად უთხრა: „შენ უნდა იყვე ჩემი ქმარიო".

პატსონი გულ-კეთილი კაცი ყოფილა, დასთანხმდა და ქმრად გაჰყვა დედოფალს. ეხლა პატსონი ბედნიერადა სცხოვრობს თავისთვის. მართალია სახელმწიფოს ისევ დედოფალი განაგებს, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ რანგულამა თვის ქმრის სურვილს ვერ გადავა. მთელი სახელმწიფო დიდს პატივსა სცემს თურმე დედოფლის ქმარსა.


# განცხადებანი

## ფოთის ქალაქის გამგეობა

ამით უცხადებს ყველას, ვისაც-კი სხვა-და-სხვა დროს ქალაქის დაგეგმილი მიწები ჰქონდა მიზომილი სახლების ასაგებად, რომ 22 აგვისტოს 1895 წ. ფოთის ქალაქის საბჭოს დადგენილებით, რომელიც ქუთაისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ კანონიერად და სამართლიანადა სცნო (1897 წ. 21 მარტის სხდომაზედ)—გამგეობას დაევალა ჩამოერთვას ყველას ის დაგეგმილი მიწები, რომელზედაც დღემდის 1858 წ. 18 ნოემბრის კანონის მე-10 მუხლის თანახმად მკვიდრი საცხოვრებელი მიწა არ გამართულ-დამყარებულა. ხოლო იმათ, ვისაც დაგეგმილი მიწები ჰქონდათ მიზომილი და აგრეთვე ამათ მემკვიდრეთ, უფლება ეძლევათ ამ განცხადების მესამედ დაბეჭვდის დღიდგან ექვს თვემდე კვლავ განაახლონ თავიანთი ვალდებულება, რომელიც 1858 წ. 18 ნოემბრის კანონშია მოხსენებული,—რომ სამის წლის განმავლობაში (ვალდებულების დადების დღიდგან) მოზომილს მიწებზედ სახლებს ააგებენ. ხოლო თუ ამ განცხადების მესამედ დაბეჭდვის დღიდგან ექვსი თვის ვადამდე დაგეგმილი მიწები კვლავ აუშენებელი დარჩება და ფოთის ქალაქის გამგეობას თავისს ვალდებულებას არ წარუდგენენ იმის შესახებ, რომ სახლებს ზემოდ აღნიშნულ სამის წლის ვადამდე ააგებენ, მაშინ ფოთის ქალაქის საზოგადო სამმართველოს განკარგულებით ეს ადგილ-მამული გასყიდულ იქმნება.

ვალდებულება უნდა განახლებულ იქმნას ამ სახით:

«მე ამისა ქვემორე ხელის-მომწერელი ამითი ვკისრულობ ვალდებულებას ფოთის ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ მოვალე ვარ დღეიდგან სამის წლის ვადამდე 1858 წლის კანონის მე-10 მუხლის თანახმად ქალაქის დაგეგმილს ამა და №-ის მამულზედ სახლი ავაგო და დავმკვიდრდე მამულზედ, რომელიც მე (ან მამისა, ან სხვას ვისმე) მიუზომა ქალაქმა ამა და ამ დროს, ამა და ამ საბუთის ქაღალდით, ამა და ამ რიცხვიდამ, ამა და ამ №... (ან ეს მამული გადმოვიდა ჩემს სახელზედ ამა და ამ საბუთის ქაღალდის ძალით). ხოლო თუ ზემოდ აღნიშნულ ვადამდე ჩემს ვალდებულებას ვერ შევასრულებ, მაშინ ჩემგან მიღებული ქალაქის დაგეგმილი მამული ქალაქისავე საკუთრებადა რჩება და, როგორც მოისურვებს, ისე მოიხმარს. დრო ვალდებულების დადებისა. ხელის მოსაწერი ადგილი».

ხსენებული ვალდებულება უნდა იქმნას შემოწმებული ნოტარიუსისა, ან სხვა მის შესაფერ საშუალებით. აქ მოხსენებულ საბუთის ქაღალდები ან პირდაპირ უნდა იყოს ჩაკერებული ვალდებულებაში, ან არა-და ნოტარიუსის შემოწმებით გადაღებული პირი უნდა იქმნას წარდგენილი. ქ. ფოთი, 6 ივნისს 1897 წელს.

ფოთის ქალაქის გამგეობა.

იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს ასულის უსინათლოთათვის სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭოს კანცელარია 12 ამა ივნისიდგან მოთავსებულია სამხედრო ოლქის საბჭოს კანცელარიასთან, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე. ვისაც რაიმე საქმე აქვს, შეუძლიან მიჰმართოს საბჭოს წევრს-სეკრეტარს ნ. ა. მარკს ყოველ დღე დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 6 საათიდგან 7 საათამდე,

(3—უ.—1)


Дозволено цензурою. Тифлисъ 17 го Юнія 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.